<u>პროექტი</u>

საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 2020 წლის —— ივნისი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ღვინის ეროვნულმა სააგენტომ „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების პროგრამის „რთველის ხელშეწყობის ღონისძიებების“ ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი – 31 03 05) გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებისთვის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**

განმარტებითი ბარათი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტის მომზადება განპირობებულია იმით, რომ საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ღვინის ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომში - სააგენტო) „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების“ (პროგრამული კოდი: 31 03) პროგრამის „რთველის ხელშეწყობის ღონისძიებების“ ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი: 31 03 05) გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

მიმდინარე წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად გეგმავს წარმოდგენილი განკარგულებით გათვალისწინებული ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას, რაც ხელს შეუწყობს 2020 წელს საქართველოში რთველის ორგანიზებულად ჩატარებას. აღნიშნული ღონისძიება ატარებს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ხასიათს, ვინაიდან მევენახეობა-მეღვინეობა სახელმწიფოს მიერ არაერთხელ იქნა აღიარებული როგორც ქვეყნის პრიორიტეტული დარგი.

„საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მევენახეობა - მეღვინეობის განვითარების პროგრამის „რთველის ხელშეწყობის ღონისძიებების“ ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი – 31 03 05) 2020 წლის რთველში ყურძნის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობისა და ორგანიზებულად ჩატარების მიზნით სააგენტოს გათვალისწინებული აქვს 400 000 ლარი. ყოველწლიურად ყურძნის ჩამბარებელთა რაოდენობა კახეთისა და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში შეადგენს დაახლოებით 20 ათას ბენეფიციარს, ხოლო საქართველოს მთავრობის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში იგეგმება სუბსიდიის სახით 40 მილიონ ლარამდე გაცემა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

რთველის სამუშაო ჯგუფი-საკოორდინაციო შტაბი იქმნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი უწყებების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, აგრეთვე კახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით. აღნიშნული შტაბის მიერ, რთველისათვის მოსამზადებელი სამუშაოები რთველის დაწყებამდე მინიმუმ 1 თვით ადრე იწყება, რათა ორგანიზებულად და

სრულყოფილად განხორციელდეს რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები, ამასთან რთველის მიმდინარეობის პერიოდში შექმნილი კონკრეტული სიტუაციებიდან გამომდინარე, ოპერატიულ რეჟიმში იღებს გადაწყვეტილებებს სხვადასხვა საკითხზე (მაგ.: ყურძნის ჩამბარებელი ახალი პუნქტების გახსნის თაობაზე, ყურძნის მიმღებ პუნქტებს რა რაოდენობის ყურძნის მიღების რესურსი გააჩნია კონკრეტულ დღეებში და ა.შ.). ყურძნის ჩაბარების პროცესში შეფერხებებისა და გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებების ადგილობრივ მოსახლეობამდე ოპერატიულად მიტანა და ამისთვის, როგორც ცენტრალური, ასევე რეგიონალური მედია საშუალებების გამოყენება. ამასთან, რთველის ფრაგმენტული გეოგრაფიული ხასიათის გათვალისწინებით ხშირად საჭირო ხდება მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა მედია საშუალებებით ინფორმაციის დროული მიწოდება. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ სატენდერო პროცედურების ჩატარება გარკვეულ ვადებთან არის დაკავშირებული. რთველის სპეციფიკიდან გამომდინარე, ინფორმაციის გავრცელების საჭიროება შეიძლება ისეთ ტერიტორიულ ერთეულებში გახდეს აუცილებელი, რომლის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იქნებოდა, ასევე ტენდერის მეშვეობით შეიძლება მხოლოდ ერთი გამარჯვებული იქნეს გამოვლენილი, რომლის შესაძლებლობები მთელი რეგიონის მოსახლეობის ოპერატიული ინფორმირებულობის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა უფრო შეზღუდული იქნება, ვიდრე რამდენიმე მედია-საშუალების და, რაც, საბოლოო ჯამში რთველის მიმდინარეობის შეფერხებისა და მოსახლეობის ფართო წრეების უკმაყოფილების მიზეზი შეიძლება გახდეს.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ყოველწლიურად იზრდება ვენახების ფართობები, შესაბამისად ბოლო წლებში სარეკორდოა მიღებული ყურძნისა და ყურძნის ჩამბარებელი ფიზიკური პირების რაოდენობა, რასთანაც პირდაპირ კავშირშია რთველის საკოორდინაციო შტაბში მივლენილ სააგენტოს თანამშრომელთა და ყურძნის ჩაბარებისა და აღრიცხვის კონტროლის განმახორციელებელი სააგენტოს მიერ დასაქმებული ოპერატორების გაზრდილი რაოდენობა. 2019 წლისათვის სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ რთველის ფარგლებში დასაქმებული იყო 150 ოპერატორი, ხოლო მიმდინარე წელს იგეგმება 180 ოპერატორამდე დასაქმება.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, რთველის სამუშაო ჯგუფისა და ოპერატორების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობის შეუფერხებლად შესრულებისათვის რათა, მოხდეს თანამშრომელთა/ოპერატორთა იდენტიფიცირება, მნიშვნელოვანია ბრენდირებული მაისურებისა და კეპების დამზადების მომსახურების შესყიდვა. ასევე აუცილებელია გაზრდილი ოდენობის საკანცელარიო საქონლის, კომპიუტერული აქსესუარების, სამუშაო ჯგუფის წევრებისა და ოპერატორების გადაადგილებისათვის გამოყოფილი ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის ტექნიკური მომსახურების, აგრეთვე ახალი კორონავირუსის (covid 19) გავრცელების საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით პირბადეების, ხელთათმანების, სადეზინფექციო ხსნარების შესყიდვა. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 დეკემბრის №650 დადგენილების თანახმად, განისაზღვრა კლასიფიკატორის კოდები (CPV კოდები), რომელთა ფარგლებშიც სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება საჭიროებს საქართველოს მთავრობის წინასწარ თანხმობას. აღნიშნული თანხმობის მისაღებად კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების და

ელექტრონული ტენდერის პროცედურების დაცვა შეუძლებელს ხდის შესყიდვების დროულად განხორციელებას და საფრთხის ქვეშ აყენებს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების - რთველის ორგანიზებულად წარმართვას.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ მსოფლიოში არსებული COVID-19-ის პანდემიის გამო ზოგიერთი კომპანია მუშაობს შეფერხებით და არასრული დატვირთვით. შესაბამისად მოცემულ პერიოდში კიდევ უფრო იზრდება სატენდერო პროცედურებისთვის განსაზღვრული პერიოდი პრეტენდენტის მიერ მოწოდების ვადების გაგრძელების მოთხოვნის შემთხვევაში.

წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, სსიპ ღვინის ეროვნულმა სააგენტომ „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების პროგრამის „რთველის ხელშეწყობის ღონისძიებების“ ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი – 31 03 05) გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში რიგი განსახორციელებელი ღონისძიებებისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურების: საკანცელარიო საქონლის, პირბადეების, ხელთათმანების და სადეზინფექციო ხსნარების შესყიდვა, ბრენდირებული მაისურებისა და ბრენდირებული კეპების დამზადება, ვიდეო რგოლის გადაღება-დამზადება, ინფორმაციის გაშუქება მედიისა და საინფორმაციო სააგენტოების მიერ, სოციალურ ქსელში რეკლამის განთავსება, ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის -- ივნისის №-- განკარგულებით, სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ თანხმობა განაცხადა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების დასადგენად სსიპ - ღვინის ეროვნულმა სააგენტომ მიმართოს საქართველოს მთავრობას.

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადებისას არ არის გამოყენებული ევროკავშირის სამართლებრივი აქტი.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე, არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს .

პროექტის მიღებით სააგენტო „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების პროგრამის „რთველის ხელშეწყობის ღონისძიებების“ ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი – 31

03 05) გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში 106 000 (ას ექვსი) ათასი ლარის ღირებულების საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვას განახორციელებს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

პროექტის მიღება ხელს შეუწყობს სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „რთველის ხელშეწყობის ღონისძიებების“ ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი – 31 03 05) გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებას. მითითებული პროგრამისა და ქვეპროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს 2020 წლის რთვლის შეუფერხებელ ჩატარებას.

პროექტის განხორციელების ვადები

პროექტით გათვალისწინებული ურთიერთობები გავრცელდება 2020 წელზე.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.